სერგეი ევლახოვი,

## ს. ევლახოვი

# მხნედ წავალთ ჩვენ ომში...

დ რ ა მ ა

მოქმედი პირნი:

დინა }
ლუბა } მიმტანები რესტორანში

ვასენინი მაქსიმ სერგეის ძე

დრამის მსახიობი

მეზღვაური

ოხოტინი გრიგორი ივანეს ძე. თეთრგვარდიელთა

სარატოველი ვაჭარი პოლკოვნიკი

ბაკენბარდებიანი მოხუცი



მოქმედება წარმოებს ზაფხულის დახუთულ საღამოს, სამხრეთ რუსეთის პროვინციულ ზღვისპირა ქალაქში, რესტორანის ბაღის ერთ-ერთ კუთხეში. მოქმედების დრო 1919 წელი.

ფარდის ახდამდე. სცენიდან მოისმის პატარა ორკესტრის ბგერები. რესტორნისათვის დამახასიათებელი [illegible] ხმები. ცალკეული შეძახილები, შემდეგ ტაში, მოთხოვნა: „რუმბა", „ტანგო", „ტანგო", „ტანგო"!

აიხადა ფარდა

რესტორნის ბაღის შუაგულში ჰყვავის თეთრი აკაციის ხე. მარცხნივ ზოლიანი ტილოთი გადახურული აივანი. წინა პლანზე გასასვლელი ბუფეტთან და ვესტიბულთან. იქვე პატარა მაგიდა სუფთა ჭურჭლით. მარცხნივ, ბუჩქებს იქით მოჩანს ქალაქი, რომელიც მარჯვნივ ჩაიკლაკნება და სადღაც სიღრმეში იკარგება.

თეთრი აკაციის ქვეშ მრგვალი მაგიდა, ორი დაწნული სკამით და პატარა სავარძლით. უფრო მარჯვნივ დგას გასახსნელი ტილოს სავარძელი.

აკაციის ხის ქვეშ პატარა სავარძელზე ფიქრში წასული ზის რესტორნის მიმტანი დინა — ახალგაზრდა, მიმზიდველი ქალიშვილი.

რესტორნის ხმაურსა და მოცეკვავეთა ქუსლების ბაკა-ბუკში ირევა ქვემეხთა ხმა, რომელიც შორიდან მოისმის. ჭუჭყიანი ჭურჭლით ხელში აივნის საფეხურებზე ჩამოდის ლუბა, ზემოთ აპრეხილი ცხვირით, ჩასუქებული, დინაზე ცოტათი უფროსი.

ლ უ ბ ა (გულდაწყვეტით). წამომჯდარა ქალბატონი! კარგად კი მოწყობილა! ახლა კი ერთ მაგიდას ემსახურება, მე და დუსია კი თავქუდმოგლეჯილი დავრბივართ (ცხვირსახოცით იწმენდს სახეს და ყელს. მუსიკა წყდება. ისმის ტაში და შეძახილები: „ბრავო!").

დ ი ნ ა. ეს ხომ მხოლოდ საღამოთია, ლუბა, დღისით კი .. (დგება და იწყებს მაგიდიდან ჭურჭლის ალაგებას).

ლ უ ბ ა. დღისით! დღისით ხომ ჩვენთან .. (ქვემეხის ხმა.) უჰ, როგორ გრუხუნებენ! დღისით, სანახევროდ მაგიდები თავისუფალია, ახლა კი რა აურზაურია! არც ერთი ადგილი არ არის, ზეზეურად სვამენ, ზოგიერთები საფეხურებზეც კი მოთავსდნენ.. ნეტა რა დაემართათ დღეს? უჭახუნებენ ერთმანეთს სასმისებს, ეხვევიან, ტირიან, ერთმანეთს ჰკოცნიან უცნობები თუ ნაცნობები. საგიჟეთს ჰგავს დღეს აქაურობა. (ხსნის ერთ ბოთლ ლუდს) ლუსიასთან კი დარბაზში ისეთი სიცხეა, დაიხრჩობა ადამიანი! (ასხამს ლუდს სასმისში და სვამს) მე კინაღამ გული შემიღონდა, თქვენ კი აქ როგორც აგარაკზე, ისე ხართ. სუფთა ჰაერი, აკაციის სურნელება, ზღვიდან ნიავი უბერავს...

(აივნის საფეხურებზე გამოჩნდება ბაცკოსტუმიანი და ბაკენბარდებიანი მოხუცი, რომელსაც ხელში სიგარეტი უჭირავს.)

მ ო ხ უ ც ი. ლუბა! გენაცვალეთ!... სად დაიკარგეთ? (გააბოლებს სიგარეტს).

ლ უ ბ ა. მომაქვს, მომაქვს! (ბუზღუნებს თავისთვის) იშოვა მფარველი და ნებივრობს... (დინას) თქვენი პოლკოვნიკი ალბათ იმაყობს, რომ მსახიობი ქალი ემსახურება, თუმც მე რა მენაღვლება?!

დ ი ნ ა. მან, ლუბა, არ იცის, რომ მე მსახიობი ვარ.

ლ უ ბ ა (უნდობლობით). ნუთუ არ გითქვამს? (ცნობისმოყვარე თვალებით შესცქერის) რაღაც თავისებური ხართ, ღმერთმანი. თეატრში მუშაობდით, კარგ საზოგადოების წინაშე გამოდიოდით და უცებ.. რესტორანში მიმტანად!

დ ი ნ ა. რა გაეწყობა დასი დაიშალა, ახლა ძალიან ცუდი დროა, თვითონაც კარგად იცი.

მ ო ხ უ ც ი (აივანზე, მუდარით). ლუბა, გენაცვალე!

ლ უ ბ ა. აი, მომაქვს. რას გადამეკიდა ეს ბებერი! (ლანგარს ხელს სტაცებს).

(ისევ ქვემეხთა ხმა. მოხუცი მიდის).

ლ უ ბ ა. ისევ სროლა. ნეტა რა იქნება! (გარბის ბუფეტში. დინა განაგრძობს მაგიდის ალაგებას დარბაზიდან აღწევს შეძახილები: „მუსიკა“, „შამპანიური“, „შავი თვალები“. საუზმით ხელში მოდის ლუბა, ჩერდება მაგიდასთან, თეფშებს კიდევ ერთხელ ხელსახოცით გაასუფთავებს და დგამს ლანგარზე).

ლ უ ბ ა. ეტყობა, თეთრები უკან იხევენ.

დ ი ნ ა. საიდან დაასკვენით ეს?

ლ უ ბ ა. ქვემეხთა ხმა რაღაც ახლოს ისმის! ე. ი. ისევ ძველ პოზიციებს დაუბრუნდნენ.

დ ი ნ ა (ღიმილით). თქვენ, ლუბა, გენაცვალე, რესტორანში კი არა, შტაბში უნდა მუშაობდეთ.

ლ უ ბ ა. ამას მე კი არა, მზარეული ლაპარაკობს, ანდრეი მარკის ძე, იგი არტილერიაში მუშაობდა, ესმის საქმე. (ამოიოხრებს) ნეტა წითლები მოულოდნელად არ დაგვესხან, კიდევ „ჩეკაში“ ამოგვაყოფინებენ თავს.

დ ი ნ ა. თქვენ?!

ლ უ ბ ა. ეს ძალიან ადვილად მოხდება: დამწამებენ, რომ თეთრებთან სეირნობდით და მორჩა.

დ ი ნ ა (ღიმილით). მაგისათვის, ლუბა, გენაცვალე „ჩეკაში“ არავინ მიჰყავთ.

ლ უ ბ ა. თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად გაქვთ საქმე! ჩაჯდებით თქვენს პოლკოვნიკთან ერთად გემში და...

დ ი ნ ა. ეს ჯერ კიდევ ვინ იცის.



ლ უ ბ ა. რა, ვინ იცის? იმას უკვე საშველი მზად აქვს. სწორედაც იქცევა! ვის, რა, მაგრამ თქვენ კი „ჩეკა“ არ აგცდებათ.

დ ი ნ ა (გულმხურვალედ). ვითომ რათაო?

ლ უ ბ ა. იმიტომ... რომ თქვენს პოლკოვნიკს მეტისმეტად საშინელი სახელი აქვს გავარდნილი ქალაქში.

დ ი ნ ა (ნირშეუცვლელად). მაინც, რაზეა ლაპარაკი?

ლ უ ბ ა (ხმას დაუწევს და მიმოიხედავს). ამბობენ, იმათი შიმშილით დახოცვა მან მოიგონა.

დ ი ნ ა. ვისი?

ლ უ ბ ა. აი, იმ კომისრებისა, რომლებიც შალანდაზე არიან...

დ ი ნ ა. ჰოო...

ლ უ ბ ა. არ გინდა ამის გამოგონება? გამოამწყვდიეს ზღვაში ადამიანები, როგორც თევზები!... ამბობენ, ყველანი ნაცემი და დაჭრილები არიანო. ამ სიცხეში წყალს თურმე თითო კაცზე მხოლოდ ნახევარ ქილას აძლევენ, პურსაც ძალიან ცოტას. ნაპირიდან არაფრის მიწოდების უფლებას არ აძლევენ, წარმოგიდგენიათ!

დ ი ნ ა. ეს ყველაფერი სისულელეა, ბოლშევიკური აგიტაციაა...

ლ უ ბ ა. აგიტაცია კი არა, სრული სიმართლეა. ამბობენ, უწინ ხმა მაინც ისმოდაო, მღეროდნენ მაინცო. ახლა აღარაფერი არ ისმის. იხოცებიან. როგორც კი თეთრების წასვლის დრო დადგება, თქვენი რაინდი იმათ იმწამსვე თავის საკუთარი ხელებით გაანადგურებს.

დ ი ნ ა. მიხვრეტავს, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! ყველა ასე ლაპარაკობს (იღებს ლანგარს და გადის აივანზე).

(დინა ცოტა ხანს გაჩერდება ფიქრებში წასული, შემდეგ იღებს მაგიდიდან ჭუჭყიან სუფრას, ლანგარს ჭურჭლით და მიდის ბუფეტში. ძველებურად მოისმის მთვრალი ხალხის შეძახილები ნაწყვეტ-ნაწყვეტი სადღეგრძელოები და არტილერიის ზალპები. ქალაქის სიღრმიდან ფრთხილად შემოჰყოფს თავს მეზღვაური. წვერ-ულვაში მოშვებული აქვს, სახეზე ეტყობა სისხლიანი ჩაქცევები. ერთი თვალი შეშუპებული აქვს, შუბლზე ჩამოყრილი აქვს სველი აწეწილი თმა. ფრთხილი დაზვერვის შემდეგ იგი გამოვა ბუჩქებიდან, ტანსაცმელი მთლად შემოხეული და სველი აქვს. მძიმედ სუნთქავს. მივარდება თანამშრომელთა მაგიდას, სტაცებს ხელს ლუბას მიერ გახსნილ ლუდს, ხარბათ სვამს პირდაპირ ბოთლიდან და შემდეგ მიეფარება გასასვლელს.

აივნის საფეხურზე წონასწორობადაკარგული ვაჭარი ჩამოდის. წარმოსადეგი წვერმოშვებული კაცი, ასე 50 წლისა).

ვ ა ჭ ა რ ი (იქნევს ხელში შამპანიურის ბოთლს, რომელიც უჭირავს ხელსახოცით). შეიწყალე, უფალო, სული ახლად განსვენებულისა მონისა შენისა დორმიდონტისა! და მიანიჭე მას საუკუნო ხსენება!..



Scanned with CamScanner

ლუბა (ჩამოდის აივნიდან ლანგარით ხელში, რომელზეც ალაგია სასმისები, შამპანიურის ბოთლი). კმარა საკუთარი თავის დატიორება, მამილო, მოსასმენლადაც აუტანელია, თუ სადმე გინახავთ, რომ ადამიანი თავისთავს უხდიდეს პანაშვიდს?

ვაჭარი. ვინ გადამიხდის... გგონია... ჩემო კარგო, როდესაც თქვენს გემზე ერთი მღვდელიც კი არ არის.

ლუბა. რას ამბობთ, მამილო? საიდან მოიტანეთ გემი? თქვენ რესტორანში ხართ და არა გემზე.

ვაჭარი. (გაკვირვებით). რესტორანში? (ბორძიკით) მაშ, რატომ არის რწევა? ..

ლუბა. მთვრალი ხართ და ამიტომ ბორძიკობთ.

(მოისმის გემის საყვირის ხმა).

ვაჭარი. მოიცა! ეს რა საყვირის ხმაა, ვერ გამიგია „მერკური?!

ლუბა. გამოიგონეთ თქვენც ერთი! „მერკური"?! რომელიღაც... ჩვენ ასეთი გემები არც კი გვაქვს.

ვაჭარი. ეს რა, ვოლგაზე არ არის გემი?

ლუბა. სად არის ვოლგა, აქ ზღვაა მამილო, ზღვა.

ვაჭარი. ზღვა?... ნუთუ, რომელი? კასპიის ზღვა თუ რომელიმე კიდევ სხვა?

ლუბა (კარგავს მოთმინებას). კმარა, მამილო, არ მაქვს მე თქვენთვის დრო, რომ გეოგრაფია გაგიმარტოთ, თუ გინდათ შამპანური დალიეთ, თორემ სხვას შევთავაზებ.

ვაჭარი. მე შენ შემგათავაზებინებ!... (ამოიჩრის იღლიაში ცარიელ ბოთლს, იღებს ლანგარიდან შამპანიურს და სასმისს. გზად მიმავალი ასხამს შამპანიურს და მიდის სცენის სიღრმეში) ერთი ამათ დამიხედე ზღვა? ჰმ?.. (იმალება აივნის იქით).

(ბუფეტიდან სუფთა სუფრით და ლანგარზე დაწყობილი კონიაკის და შამპანიურის ბოთლებით გამოდის დინა).

ლუბა (ირონიულად). პაემანისათვის ემზადებით? ალბათ, თქვენი რაინდი პირდაპირ იქიდან მობრძანდება.

დინა.? საიდან (აფარებს მაგიდას სუფრას).

ლუბა. თვითონ იცით. საოცარია, როგორ შეგიძლიათ, ნუ თუ არ გეშინიათ? (ხმას დაუწევს), ამბობენ, თურმე, იგი, იმათაც კი, რომლებიც სარდაფში ჰყავს, თვითონვე თავისი ხელით!..

დინა. გაჩუმდით, ლუბა...



ლუბა. არ მოგეწონათ? რა თქმა უნდა, იმავე ხელებით გეხვევა და გეალერსება!

დინა. კი მაგრამ, თქვენ მაინც საიდან დაასკვენით, რომ მე იგი მეხვევა?

ლუბა. კმარა, თუ ღმერთი გწამს, კომედიის გათამაშება! გადაეყარა პირველ პირუტყვს ქალაქში და კიდევ თვალთმაქცობ! „ოხ, დამანებეთ თავი" და „საიდან აიღეთ"!

დინა. კმარა, ლუბა!

(უცებ ორკესტრი შესწყვეტს საცეკვაო მუსიკას და იმწამსვე გაისმის „თეთრი აკაციის" მუსიკის ბგერები და მომღერალი ქალის ხმა).

დინა (შეშფოთებული). რას ნიშნავს ეს?

ლუბა. აკაცია! ე. ი. მოვიდა თქვენი რაინდი!

დინა (შეძრწუნებული). უკვე?!

ლუბა. როგორც ხელმწიფეს, პირდაპირ ისე ხვდებიან, მისი საყვარელი სიმღერით (მიდის აივნისაკენ. აივნის საფეხურზე ჩნდება ოხოტინი. იგი 28 წლისაა, კარგი შესახედავი, ახოვანი, ლაზათიანი. შავი ულვაშებიანია, შეუდარებელი მიმოხვრა აქვს, აცვია წელში გაწყობილი შავი კავკასიური ხალათი, „შავი პატარა" „გალიფე" კავკასიური ჩექმები, კავკასიური ქამარი არტყია, ხანჯალი ჰკიდია; ჰხურავს პატარა შავი ფაფახი, ხელში უკავია მაისის ვარდები. ლუბა გაისრიალებს მის წინ და გავა ვერანდისაკენ. ოხოტინი მიუმღერებს რა მომღერალ ქალს და ოდნავი კოჭლობით ჩამოდის ბაღში)

დინა. ეს თქვენა ხართ? ასე ადრე მოხველით? მე ჯერ საუზმეც კი არ შემიკვეთია!

ოხოტინი (მიართმევს ვარდებს). არა უშავს რა, მე აქეთ თქვენს სანახავად გამოვიარე.

დინა. და ისევ მიემგზავრებით? ჩვენი ვახშამი ჩაიშალა?

ოხოტინი. საქმეები, ჩემო გოგონა, საქმეები! მე ისევ დავბრუნდები. ჩვენი ვახშამი აუცილებლად გაიმართება.

დინა (კირვეულად). გაუთავებელი საქმეები, შენ კი იჯექი და უცადე.

ოხოტინი. თქვენ მე მელოდით? ეს სიმართლეა?

დინა. მე მხოლოდ ისღა დამრჩა, თქვენ გელოდოთ (ყნოსავს ვარდებს) თქვენ ერთგულებას იჩენთ, გრიგორი ივანეს ძევ, ყოველთვის ვარდები და ისიც ყოველთვის მაისისა!

ოხოტინი. მთელს ჩემს სიცოცხლეში მაისის ვარდებს მოგართმევთ ხოლმე.

დინა (კეკლუცად). მაშინაც კი როდესაც მე უკვე 70 წლისა ვიქნები?

ოხოტინი (აღგზნებული). ჩემო გოგონა! ჩემო ლერწამო! (სურს ჩოხვიოს ხელი წელზე).

დინა (მოერიდება). დაგვინახავენ, გრიგორი ივანეს ძევ...

ოხოტინი. ეს რა მომდის, გოგონა? გამალებით ყოველ წუთს შენზე ვფიქრობ. დღე და ღამ შენი თვალები მელანდება, ბაგენი, შენი ხმა, შენი ხელების სურნელება... (ჩაბღუჯავს მის ხელებს თავისაში)

დინა. კარგი ერთი, გრიგორ ივანეს ძევ! ჩემს ხელებს მხოლოდ თევზისა და სხვადასხვა ხორცეულის სუნი ასდის.

ოხოტინი (ირონიულად). ხორცეულისა? ეს რაღას ნიშნავს (უცებ უხეშად) სისულელეა! დაჯექით! მომისმინეთ!

დინა (ჩაეშვება სავარძელში). დღეს თქვენ რაღაც ანერვიანებული ხართ, გიორგი ივანეს ძევ...

ოხოტინი. ეს არაფერია, გოგონა, მთავარი ისაა, რომ დროა უკვე მე და თქვენ გავემგზავროთ აქედან... გასაგებია? მე მხოლოდ იმისათვის მოვედი, რომ შეგატყობინოთ, რომ დილისათვის უნდა მოვწყდეთ აქაურობას.

დინა. განთიადისას? კი მაგრამ, რატომ არ გამაფრთხილეთ ცოტა ადრე? ხომ არ შემიძლია გამოგყვეთ წინსაფრით?

ოხოტინი. ეს არაფერი, მოსასხამი თქვენთვის უკვე მზად არის, უკვე აქ არის შემოსასვლელში საკიდზე. თქვენი ჩემოდანი კი ჩემს მანქანაშია.

დინა. ჩემი? საიდან?

ოხოტინი. მე თვით ვიყიდე, თვითონვე ჩავალაგე თქვენი მოკაზმულობა, ყველა ფრანგი ქალიც კი მოიხიბლება.

დინა. ეს უკვე ზღაპარს ჰგავს, გრიგორი ივანეს ძევ!

ოხოტინი. ზღაპარი განთიადისას იწყება, ახლა კი (დახედავს საათს და დგება).

დინა. მიდიხართ?

ოხოტინი (ღიმილით). ცოტა ხნით.

დინა. სად?

ოხოტინი. ეს საიდუმლოზე საიდუმლოა.

დინა. აი თურმე რა ამბებია (ზურგს შეაქცევს).

ოხოტინი (სიცილით, დაიწევა მისკენ). საშვებისათვის, ჩვენს ზღაპარში, ჩემო გოგონა (ჰკოცნის ხელზე და მიდის მარცხნივ).

დინა. ჩქარა მოდით, გესმით?!

ოხოტინი. ნახევარ საათში! (მიდის და თან მიიმღერის")



(პაუზა)

დინა (მარტო, შეწუხებული). რომ არ დაბრუნდეს? (დახედავს საათს. აივნიდან ლანგარით ხელში ჩამოდის ლუბა. თან ხმამაღლა სლუკუნებს, შეეგებება მას) რა მოხდა ლუბა, გენაცვალე?

ლუბა. (ჩამოჯდება სკამზე და აგრძელებს სლუკუნს). ორ ოფიცერს მწვადი მივართვი, ერთი ვგონებ შტაბიდან არის, მეორე დაზვერვაში მუშაობს შენს პოლკოვნიკთან. მისი ადიუტანტია მგონი. ის, ძალიან გაწრიპული რომ არის, ვირთაგვას რომ ჰგავს...

დინა. მერე და რა?

ლუბა. ჰოდა, მე იმ ოფიცერს. შტაბიდან საწაბელი გალიფეზე გადავასხი...

დინა (თანაგრძნობით). როგორ დაგემართა ეს, ლუბა, გენაცვალე?

ლუბა. ხელი შიშისაგან ამიკანკალდა ერთმანეთში იმაზე ლაპარაკობენ... აი იმათზე, ვინც შალანდაზე არიან.

დინა (მალავს შიშს). რას ლაპარაკობდნენ?

ლუბა. შტაბის ოფიცერი სულ შენს იმას აქებდა: „ყოჩაღია ოხოტინი, სწორედ იქცევაო! წითლებზე ტყვიაც კი დასანანია,—სწორედაც უნდა ჩასძირო ისინი წყალში და ამით გაათავო!"

დინა. მეორემ რაღა თქვა?

ლუბა. იმ ვირთაგვამ? რა საჭიროაო აუცილებლად დაღრჩობა? ჩვენს პოლკოვნიკს უკეთესი რამის ვამოგონებაც შეუძლიაო. თვითონ კი იღრიჭება... ისეც თქვენი აგიტაცია!

დინა (დაიოკებს მღელვარებას). არა უშავს რა, ლუბა, კიდევ შეიძლება შემოევლოს საქმეს...

ლუბა. შემოევლება, სწორედ.. (დგება) უფ, საძაგელი! ჩემი ხელებითვე მივახრჩობდი... (გადის აივანზე).

დინა (მარტო). ნუთუ არ დაბრუნდება?... (უყურებს საათს) იაშაც არ სჩანს აქამდე. (ბრუნდება ლუბა ცარიელი ლანგარით.) მე არავის უკითხივარ, ლუბა?

ლუბა. (ჩამოჯდება სკამზე, ფურცლავს უბის წიგნაკს). გიკითხეს.

დინა. ვინ? იაშამ?

ლუბა. ჯანდაბა იმის თავს... შავმა, რაღაცნაირმა წუპაკცხვირიანმა... რაღაც პარიკმახერსა ჰგავდა?

დინა. ჰო, ჰო, კიდევ აქ არის?

ლუბა. გავისტუმრე, თქვენ ხომ თქვენი პოლკოვნიკი გყავთ, სხვისთვის არ გცალიათ.



Scanned with CamScanner

დინა. წავიდა?... არაფერი დაუბარებია ჩემთვის გადასაცემად? რეპეტიციის შესახებ არაფერი უთქვამს? ა? (ემატება მოლარეზე) ლუბა, გენაცვალე, გაიხსენეთ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომელ საათზეა დანიშნული.

ლუბა. ნეტა ერთი ამანაც იშოვნა საქმე! ქვეყანაზე რა ხდება, ეს კი რეპეტიციებს გაიძახის!

დინა (ჯაჯინებით). როდის არის რეპეტიცია? 1 საათზე? 2 საათზე?

ლუბა (მიმაღლებით). 2 საათზეა. დაწყნარდი?

დინა. გმადლობთ (ეშვება სკამზე).

ლუბა. რაღა ამ შუაღამეს დანიშნეთ რეპეტიცია? რა რეპეტიციას აპირებთ?

დინა. არაფერი... არაფერი..

ლუბა. არაფერი. ტუჩები კი აგიკანკალდა.

დინა. სად გვაქვს საცობის გასახსნელი, ლუბა?.. აი, ბგერ (ხსნის მინერალური წყლის ბოთლს, ასხამს სასმისში).

ლუბა (დაცინვით). რა, ასეთ სპექტაკლს ამზადებთ?

დინა (სვამს მინერალურ წყალს). ჰმ!

ლუბა (ნერვიულობს) რა როლს ასრულებთ?

(პ ა უ ზ ა)

დინა. ასეთი საპასუხისმგებლო როლი მე ჯერ არასოდეს არ მქონია...

ლუბა. საოცრებაა, პირდაპირ. ქვემეხების ხმა მოისმის, საცაა წითლები შემოვლენ. ესენი კი რაღაც სპექტაკლს ამზადებენ. აი რას ნიშნავს მსახიობი (გზად მომავალი ფურცლავს უბის წიგნაკს, მიდის ბუფეტში).

დინა (მარტო. დაჰყურებს საათს). კიდევ საათნახევარი... (ტუჩ) ოჰ! რა მემართება... (იღებს საცობის გასახსნელს. ხსნის კონიაკის ბოთლს მოიხედავს ბუფეტისაკენ და სურს ამოიღოს ჯიბიდან რაღაც. მაგრამ ბუფეტიდან გამოსულ ლუბას შეამჩნევს და ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს წინსაფარს ისწორებს).

ლუბა (დგამს სასმისებს ლანგარზე). გამოიგონე რაღაც სპექტაკლი! ვინ ითამაშებს ნეტა? მთელი დასიდან მხოლოდ ერთი მაქსიმ სერგის ძე დარჩა. ორნი წარმოადგენთ, ნეტა ვიცოდე რაიმეს?

დინა. მათთან...

ლუბა. არ მესმის ქალის მოხერხებულობა, ერთთან არშიყობა გააბა, მეორესთან სპექტაკლს ამზადებს, მე მაქსიმ სერგის-



ძის ადგილზე დიდი ხანია სალამსაც არ მოგვცემდით. მაგიდა მაინც გამოგეცვალათ. ისევ ის მაგიდაა, რომელთანაც ვახშმად გვპატიჟებოდათ და თან ყოველ საღამოს გიტარით „თეთრ აკაციას“ გიმღერებდით, თქვენ კი იმ მახინჯს გადაეყარეთ!... ზოგჯერ მე და დუსია შურით ვკვდებით! აი, რა ბედნიერია, რა შესანიშნავმა მომღერალმა შეიყვარა, რა სიყვარული აქვს... არაჩვეულებრივია!

მოხუცი (ვერანდის საფეხურებზე). სად არის შამპანური, ლუბა, გენაცვალე?!

ლუბა. მომაქვს (მიდის ბუფეტში და იმწამსვე ბრუნდება, დინას) რაღას ელოდები, წადი შენს დალაქთან, მსახიობო!

დინა. ის აქ არის?

ლუბა. წადი, ჩქარა წადი, შენი ახალი სპექტაკლისათვის რაც შეიძლება ლამაზი ნიღაბი შეუკვეთე.

დინა (ღიმილით). ლუბა, რა კარგი ხართ და რა სულელი ამავე დროს.

ლუბა (გაბრაზებით). შენ მყევხარ ჭკვიანი!... უმჯობესია სპექტაკლზე კი არ იფიქრო, არამედ იმაზე, რომ როგორმე ცოცხალი გადარჩე და თავს უშველოთ! იქნებ გგონია, შენზე და შენს პოლკოვნიკზე არავინ არაფერი იცის? მთელმა ქალაქმა იცის. ნავთსადგურში კი ყველანი მხოლოდ და მხოლოდ „ოხოტინის გოგოს“ გეძახიან. (დინა ერთი წამით, მდუმარედ შეხედავს მას და გადის. გარბის მარცხნივ. თითქმის იმწამსვე მოისმის მისი, შეშინებული შეყვირება და ისევ შემორბის უკან. უკან მოსდევს მატროსი).

მატროსი. ჩუმათ თუ და ხარ!

ლუბა (სულს ძლივს ითქვამს). რა გინდა აქ?... რატომ შეძვერი მიწურში.

მატროსი. შევძვერი—ე. ი. საჭიროა, ნუ გვიშლით, შენ არ გახლებ ხელს!

ლუბა (შეშინებული შეჰყურებს). უჰ, რა საშინელი ხარ! ვინ გაგიმეტა ასე?...

მატროსი. დამალევინე წყალი, თუ და ხარ?

ლუბა. მეზღვაური ხარ?

მატროსი. წყალი დამალევინე!

ლუბა. წითელარმიელი?

მატროსი (ირონიულად). წითელი არა მწვანე!

ლუბა (სულ უფრო და უფრო შეშინებული). შენც ნახე დასამალი ადგილი! რესტორანი სავსეა ოფიცრებით! ამ მაგიდასთან კი თვითონ ოხოტინი ვახშმობს.

მატროსი. ამ მაგიდასთან?... კარგი!

ლუბა. ჩქარა დაიმალეთ მიწურში, თორემ ნახავ შენს სეირს!
მატროსი. კმარა, აღარ დავმორჩილდები.
ლუბა. შენ რა—იმის სარდაფიდან ხომ არ ხარ გაქცეული?
მატროსი. უარესიდან (დაჟინებით შეჰყურებს მას).
ლუბა. ნუთუ მისი შალანდიდან?! კი, მაგრამ როგორ?
მატროსი. მეზღვაური, დაიკო, ყველგან გაიტანს თავს, წყალზეც და წყალქვეშაც.
ლუბა. წყალს ქვეშ?... ღმერთო ჩემო!.. მერე ისინი? ისინი როგორ? კომისრები?
მატროსი. ერთი გუშინ მიიცვალა, დანარჩენები კი... რაღა საკითხავია!... უნდოდათ, სანამ ზღვას მისცემდნენ თავს, „ჩვენ მსხვერპლად შევეწირეთ“ ემღერათ, ემღერათ. მაგრამ... მხოლოდ მე ვმღეროდი, ისინი კი მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდნენ... უკვე მერამდენე დღეა, ტუჩები ყველას გაუშრა, გაუშავდა... მხოლოდ ქაშაყს აჭმევენ საზიზღრები! მე მხოლოდ ორი დღე და ღამე ვიყავი და ისიც... (ილოკავს ტუჩებს) გახსენი ლუდი, დაიკო, ნუ დაგენანება,—მთელი გულმუცელი მეწვის.
ლუბა. გადაძვერი ბარემ მიწურით, ჩქარა... და მოგიტან.
მატროსი. არის! (იმალება.)
ლუბა. ღმერთო შენ დამიფარე! (იწმენდს თავსაფარით სახეს, საჩქაროდ ხსნის ლუდის ბოთლს, მალავს წინსაფარის ქვეშ და გარბის.)
მოხუცი (ისევ გამოჩნდება ვიტრინიდან). ლუბა, გენაცვალე!... გოგონა ჩემო!... ეჰჰ ე! (ჯდება პირდაპირ საფეხურზე).
(აივნიდან შამპანიურით და სასმისით ხელში გამოდის ვაჭარი.)
ვაჭარი (შეხედავს რა მოხუცებულს, გულაჩუყებული). შეხედე ერთი, როგორი კოპწია მოხუცია, ა? (ხმამაღლა) გესმის, მოხუცო! წვერიანო!
მოხუცი (შეკრთება). ამას მე მეუბნებით?!
ვაჭარი. აბა ვის?
მოხუცი. უპირველესყოვლისა, რას ნიშნავს ეს შინაურული ტონი, და მეორე ის, რომ მე წვერი კი არა ბაკენბარდები მაქვს.
ვაჭარი. მერე რა? ბაკენბარდები ხომ შენ კეფაზე არ გეზრდება, არამედ თავის დანიშნულ ადგილზე, ხომ მართალია? (უახლოვდება) იცი რა, ღვთის გულისთვის, ამიხსენი, სად ვიმყოფებით.
მოხუცი. როგორ თუ სად? რესტორანში.
ვაჭარი (მოკვერიებით). ამას კი არ გეკითხები! რომელ სახელმწიფოში, რუსეთში თუ...?
მოხუცი (ამოიოხრავს). ჯერჯერობით რუსეთში.



ვაჭარი. მაშ რწევა რატომ არის.
მოხუცი (ირონიულად). შეაჯანჯლარეს რუსეთი და მიტომაც არის!
ვაჭარი. აი, მესმის პასუხი! უცებ ეტყობა რომ უბრალო კი არა სახელმწიფო პირი, (ჯდება მის გვერდით) მინისტრი იყავი!
მოხუცი. არა, ღმერთმა დამიფაროს.
ვაჭარი. გუბერნატორად?
მოხუცი. ვიცეგუბერნატორად ვიყავი.
ვაჭარი (მთვრალი ხარხარებს, უცებ შესწყვეტს სიცილს). მეც, რაღა არ ვიყავი? (თითებზე ითვლის) პირველი რანგის ვაჭარი? ვიყავი! ქალაქის მმართველობის წევრი ვიყავი? ვიყავი! ქალთა სხვადასხვა კომიტეტის წევრობას ხომ არ ვთვლი, რა თითები მეყოფა, ეხლა კი რა ვართ? ლტოლვილი, სავაჭრო—საწარმოო კლასისა, რად მინდა ეს სახელწოდება? ფუ! (გაკრავს იდაყვით გვერდში) რას ფიქრობ, ვიცე?
მოხუცი (ცოტა გაიწევს). პარიზში ვაპირებ.
ვაჭარი (უახლოვდება). ეს კარგია, იქნებ ერთად მოგვიწიოს დახრჩობა.
მოხუცი. რაღა მაინცდამაინც დახრჩობა... გეთაყვა.
ვაჭარი. მაშ რა? ზღვით ხომ უნდა გავცუროთ? აბა ზღვა რა ზღვაა. თუ ხალხი არ დაახრჩო, ვინ იცის ჩვენი ძვლები ერთმანეთის გვერდით ელაგოს ზღვის ფსკერზე... უაღსარებოდ...
მოხუცი. უფ!...
ვაჭარი. გინდა რაიმე გიმღერო, მოხუცო?
მოხუცი. არ მინდა. სჯობს მომცილდეთ...
ვაჭარი. არ გინდა? მაშ შენ იმღერე რუსეთზე (ასხამს შამპანურს სასმისში).
მოხუცი (წამოდგება). დიდად გმადლობთ, არ მინდა.
ვაჭარი (ისიც წამოდგება). რა, რუსეთზე არ გინდა?!
მოხუცი (ცდილობს გაუძვრეს). რუსეთზე კი არა. საერთოდ არ მინდა.
ვაჭარი (სტაცებს ხელს კოსტუმის ქიმზე). საით? იმღერე, ვიცე, თორემ თავზე დაგასხამ!
მოხუცი (აწუწუნებული). საძაგლობაა! (თავდავიწყებით) მე თქვენ გუბერნიიდან გაგასახლებთ...
ვაჭარი. იმღერე, გეუბნები! არ გინდა? მაშ მიიღე (გადაასხამს შამპანურს თავზე)
მოხუცი (წონასწორობიდან გამოსული). როგორ მიბედავთ! მე თქვენ... მე თქვენ... (გარბის აივანზე)



Scanned with CamScanner

ვ ა ქ ა რ ი (უცებ დამშვიდდება). ენა დაება ვიცეს (სვამს).

ლ უ ბ ა (გამოდის აივნიდან). რატომ იქცევი ასე უწესოდ მამილო? უმჯობესია წახვიდეთ სახლში.

ვ ა ქ ა რ ი (უეცარი გაბრაზებით). რა.. ა! სახლში?! შენ იცი, სად არის ჩემი სახლი? სარატოვში! აი, სად არის... სცადე ერთი იქამდე მისვლა! (ბორძიკით ადის ვერანდაზე) სულელი!

(ლუბა ფაციფუცობს მაგიდასთან. ძველებურად მოისმის ნასვამთა ხარხარი და მუსიკის ხმა. ყუმბარების გასროლის ხმები ნაკლებად მოისმის. მარცხნიდან შემოდის მაქსიმ ვასენინი, ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით ისეთივე აგებულებისა, როგორც ოხოტინი. საზაფხულო კოსტიუმი აცვია, ხელში შლაპა უჭირავს).

ლ უ ბ ა (შემობრუნდება). მაქსიმ სერგის ძევ! (გახარებული) გამარჯობათ, მაქსიმ სერგის ძევ!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი (მოუჭერს ხელს). გამარჯობათ, ლუბა.

ლ უ ბ ა. რამდენი ხანია ჩვენთან არ ყოფილხარ, მაქსიმ სერგის ძევ!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. დინა სად არის, ლუბა?

ლ უ ბ ა. იგი? იგი... მაქსიმ სერგის ძევ, თქვენ აქ აღარ უნდა მოსულიყავით!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი (შეხედავს მაისის ვარდებს მაგიდაზე, შუბლს შეჭმუხნავს) კი, მაგრამ, რატომ?

ლ უ ბ ა. თქვენ თვითონ კარგად იცით! (მიმოიხედავს) ამ მაგიდას მაინც მოსცილდით! შემოგისწრებთ, რაიმეზე ექვს აიღებს და კიდეც გიკრავთ თავს სარდაფში.

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. ჩემთვის აუცილებელია დინას ნახვა, ლუბა, გენაცვალე.

ლ უ ბ ა. მაქსიმ სერგის ძევ, დაინანეთ თქვენი თავი! თქვენ ერთად რომ შემოგისწროთ, სარდაფშიც ვერ მოხვდებით, ისე მიგსრესავენ. თქვენ ისეთი ახალგაზრდა ხართ, თანაც ასეთი კარგი მსახიობი. სიკვდილამდე მეხსომება, როგორ შეასრულეთ ფერდინანდის როლი „ვერაგობა და სიყვარულში". მე და ლუსია გულამომჯდარი ვსტიროდით, ხალხი კინაღამ გაგიჟდა, ფარდა ერთი ათჯერ მაინც ასწიეს. ნუ იღუპავთ თავს იმის გულისათვის, მაქსიმ სერგის ძევ, არ არის იგი თქვენი ღირსი!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი (ამაღაბლა, მტკიცედ) დაუძახეთ დინას, ლუბა, და რაც შეიძლება საჩქაროდ, თორემ მე თვითონ მოვძებნი!





ლ უ ბ ა (ჩურჩილი ხმით). კეთილი, დავუძახებ მხოლოდ იცოდეთ, რაც მოგივათ, თავს დააბრალეთ (მიდის).

(ვასენინი მივა აკაციის ხესთან, გადახრის ტოტს, უყნოსებს, შემდეგ გაინთავისუფლებს ხელს და ბრუნდება მაგიდასთან, იქნებ გასაგონად ღიღინებს სიმღერას „თეთრი აკაციის" მოტივს.

ბუფეტიდან ლანგარით ხელში სასწრაფოდ გამოდის დინა).

დ ი ნ ა. მაქსიმ! რამ მოგიყვანა აქ, ჩემო მაქსიმ!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. დინა!...

დ ი ნ ა. ასეთი გაუფრთხილებლობა!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. იამამ თქვა, რომ იგი წავიდა.

დ ი ნ ა. მხოლოდ ნახევარი საათით (უფრო შეშფოთებით). ჩაგვეფუშა?

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. არა, მაგრამ გამიგე, მე არ შემეძლო არ მოვსულიყავი, არ შემეძლო არ მენახე, ყოველივე იმის წინ... დავიტანჯე.

დ ი ნ ა. დღეს ყოველივე დამთავრდება.

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. ჰო, ჰო.... მაგრამ მაინც... იცოდე რომ შენ იმათთან ხარ!

დ ი ნ ა. მაქსიმ!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. ეს აუტანელია... იგი საშიში მხეცია, ძლიერი მხეცი. იგი ყოველგვარ საზიზღარ ძალმომრეობას იკადრებს.

დ ი ნ ა. შენ არ უნდა იფიქრო ამაზე, მაქსიმ, დამიჯერე. ამ როლს მე ვთამაშობ ისე, როგორც არასდროს! მე მაქვს ძალა შევაჩერო იგი. (ვასენინი ჰკოცნის დინას ხელებზე.) ეს ყოველივე არ არის ადვილი, მაქსიმ, მე მძაგს იგი, ვცდილობ მოვარიდო თავი, როცა მესმის მისი სუნთქვა ჩემს ახლოს, არ შემიძლია „თეთრი აკაციის" მოსმენა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ღიღინებს გამუდმებით. მაშინ კი როდესაც შენ მიმღეროდი ამ რომანსს, ძალიან მიყვარდა.

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. ისევ მეყვარებ, ჩემო ძვირფასო. მე ისევ გიმღერებ, მაგრამ უკვე სხვა სიტყვებით. (გატაცებით) ისე, როგორც მღერიან ისინი... იქ, შალანდაზე (ღიღინებს).

დ ი ნ ა. (დაყვავებით) ჩუმათ, მაქსიმ, ჩუმათ. ისინი ნამდვილი ადამიანები არიან, უნდა შევძლოთ მათი გადარჩენა!

ვ ა ს ე ნ ი ნ ი. უნდა შევძლოთ... (ათამაშებს თავს, სხვა ტონით) ყველაფერი მზად გაქვთ?



Scanned with CamScanner

დინა. ყველაფერი.

ვასენინი. (ანიშნებს კონიაკზე). ესეც?

დინა. ღმერთო ჩემო! ახლავე, ახლავე... (ამოიღებს ჯიბიდან პაკეტს, სასწრაფოდ ხსნის).

ვასენინი. მოიცა, მე თვითონ, შენ კი უთვალთვალე.

(დინა ისე დგება, რომ დაინახოს ვერანდის საფეხურებიც და ბუფეტში შესასვლელიც. ვასენინი ბოთლში ჩაყრის ფხვნილს და ქაღალდს ინახავს ჯიბეში. შეანჯღრევს კონიაკის ბოთლს და ბოლოს თავს გადასწმენდს ქაღალდის ხელსახოცით).

დინა. შენც მზად გაქვს ყველაფერი?

ვასენინი. ყველაფერი, მხოლოდ ai ჩექმები... ზომა მთლად ჩემი არ არის, მაგრამ არაუშავს, მთავარია, რომ ჩაიცმევა.

დინა. ნიღაბი კარგია?

ვასენინი. როგორც ნამდვილი (დაუცობს ბოთლს თავს). მზად არის.

დინა. იქ რას ლაპარაკობენ? ეჩვენე ამათ?

ვასენინი. რა თქმა უნდა! კოსტუმშიაც და გრიმშიაც პირდაპირ გაკვირვებული არიან მსგავსებით (იღიმება).

დინა. რაზე გეღიმება?

ვასენინი. ძალიან გულამოჩუყებულნი არიან ჩვენი იატაკქვეშა რეჟისორები. ერთი შეხედვით ისეთი პირქუშები, მაგრამ სინამდვილეში ძალიან გულისხმიერები, ისე ღელავენ თავის მსახიობებზე, თითქოს ჩვენ იმათი ღვიძლი შვილები ვიყოთ.

დინა. რევოლვერი მიიღე?

ვასენინი. ჯერ კიდევ გუშინ.

დინა. კატერის საქმე როგორ არის? ნაპირზე მიდგომის ადგილი დააზუსტეთ? (ვასენინი უხმოდ იქნევს თავს. დინა დაჰყურებს საათს.) დროა, ჩემო კარგო, იგი საცაა დაბრუნდება.

ვასენინი. მივდივარ (არ იძვრის).

(ისინი დგანან, ხელიხელჩაკიდებულნი შეჰყურებენ ერთმანეთს თვალებში. მარცხნიდან ლუბა შემოდის, ხელში სავსე ლანგარი უჭირავს).

ლუბა. ღმერთო ჩემო! კიდევ არ წასულხარ! (მიდის ვერანდასთან).

დინა (ნაწყვეტ-ნაწყვეტად). მაკოცე.

(ამ დროს ორკესტრმა დაიჭუხა, მომღერალმა წამოიწყო: „თეთრი აკაციის!! წადი, წადი!



(ვასენინი ჩამოიწევს შლაპას შუბლზე, მიეშურება მარჯვნივ. გამოჩნდება ოხოტინი სტვენით).

ოხოტინი (უცებ მობრუნდება). ეს კიდევ რა მოჩვენებაა? ვინ ხართ თქვენ?

ვასენინი (აიწევს შლაპას და ღიმილით). მსახიობი, ბატონო პოლკოვნიკო!

ოხოტინი (შეათვალიერებს მას). მსახიობი ვასენინი, თუ არ ვცდები? (გადახედავს დინას) აქ რისთვის მოხვედით?

ვასენინი (აგრძელებს ღიმილს). ბოდიშს ვიხდი, ბატონო პოლკოვნიკო, მაგრამ რესტორანში საერთოდ რისთვის მოდიან?

ოხოტინი. ეცადეთ თავი შეიკავოთ ღიმილით და მიპასუხოთ კითხვაზე: რატომ აღმოჩნდით თქვენ ამ მაგიდასთან?

ვასენინი (გაუღიმებლად, მშვიდად). იმიტომ, რომ ყველა დანარჩენები დაკავებული არიან, ბატონო პოლკოვნიკო.

ოხოტინი. თქვენც დაკავებული ხართ და ვერც განთავისუფლდებით! (ჯდება ზუსტად ვასენინთან სავარძელში). მაქვს პატივი!

ვასენინი (ისევ ისე მშვიდად). მაქვს პატივი, ბატონო პოლკოვნიკო! (მიდის).

(პ ა უ ზ ა)

დინა (ალაგებს რა საუზმეს მაგიდაზე, თავისუფლად). როგორ არის საშვების საქმე ჩვენს ზღაპარში, გრიგორი ივანეს ძევ?

ოხოტინი (უხეშად). რისთვის მოვიდა აქ ვასენინი?!

დინა. მან ხომ გითხრათ, რისთვის (ჯდება სავარძელში).

ოხოტინი. რატომ სთქვა უარი, ამ ნიჭიერმა მსახიობმა თავის კარიერაზე, ჩამორჩა ერთადერთი თავის დასს და დარჩა ამ ქალაქში?

დინა. არ ვიცი...

ოხოტინი. თქვენთვის? (მოულოდნელად დაარტყამს მუშტს მაგიდას) თქვენთვის?! ა? რას გაჩუმებულხართ?!

დინა (ჩუმად). მე არა ვარ მიჩვეული ყვირილს, გრიგორი ივანეს ძევ.

(პ ა უ ზ ა)

ოხოტინი (ჩააშტერდება დინას ჩუმად). კი მაგრამ. რატომ დამიმალეთ რომ თქვენ მსახიობი ქალი ხართ?... ან მიმტანად რად მუშაობთ? (ირონიულად). გაჭირვებამ გაიძულათ, არა? კი მაგრამ,



Scanned with CamScanner

თქვენი დედა, ხომ ქალაქში ცნობილი ბებია ქალია, მას საკმაოდ დიდი კლიენტურა ჰყავს.

დინა (მწარედ). და ეს არის სიყვარული!

ოხოტინი. მიპასუხეთ!

დინა. კიდევ რა გითხრეს თქვენმა ჯაშუშებმა ჩემზე?

ოხოტინი. თქვენ მიპასუხებთ?

დინა. გიპასუხებთ. ყველა კითხვაზე გიპასუხებთ. თქვენს სარდაფში გიპასუხებთ (ზურგს მიუბრუნებს).

ოხოტინი (წამოვარდება). რა?

დინა (შეშინებული ხმით). არ მოველოდი მე ამას თქვენგან, გრი...

ოხოტინი. რა-რა? როგორ დამიძახეთ? გრი?

დინა (თვალების წმენდით). მე ყოველთვის ისე გიძახდით... ფიქრებში. პირველად (ამოიოხრა) ხმამაღლა. პირველად და... უკანასკნელად. მე არსად არ წამოვალ თქვენთან.

ოხოტინი. აი თურმე რა!

დინა. ჩემი. სურვილით არა!

ოხოტინი (მუქარით). არა?

დინა. ძალა გინდათ იხმაროთ? რა გაეწყობა, სცადეთ.

(შეჰყურებენ, ერთმანეთს თვალებში)

(პ ა უ ზ ა)

ოხოტინი (ვნებამორეულით). მე არ შემიძლია უთქვენოდ გაძლება, დინა! მაპატიეთ!... მე თავბზა მებნევა, თქვენი ერთი შეხედვისაგან, ყოველი თქვენი მოძრაობისაგან. ჩემო წმიდავ! მიუკარებელო! მშვენიერო! ღვთაებრივო! (მიიწევს მის მოსახვევად).

დინა (აარიდებს თავს). დამანებეთ თავი!.. მე აღარ მჯერა თქვენი, ყველაფერს სტყუით, სტყუით! (ქვითინებს).

ოხოტინი. დამშვიდდით, ჩემო გოგონა! დამშვიდდით!

(პ ა უ ზ ა)

დინა (ცრემლებით). გახსენით... შამპანური... ყელი გამიშრა...

ოხოტინი (ხსნის შამპანურს). მეტს ნუღარ მოვიგონებთ ყოველივე ამას, დინა, და დავლიოთ ჩვენი ზღაპრის სადღეგრძელო (უსხამს დინას შამპანურს, თვითონ ისხამს კონიაკს).

დინა (იწმენდს თვალებს). ეს იყო სისაძაგლე თქვენის მხრიდან, სისაძაგლე (სვამს შამპანურს). როდესაც გექნებათ შე-



საძლებლობა, აუხსენით თქვენს... იდიოტებს რომ დაიწყები მსახიობი ქალის თეატრალური გარდერობისათვის დედის კლიენტურიდან მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი!

ოხოტინი (ანჩუპულ). ვეუკაკ, ეს მეტად აღარ გამეორდება!

დინა. მაგრამ, თქვენ ხომ.... მათი!

ოხოტინი. მე შენი მჯერა, ჩემო გოგონა, შენი! (ჰკოცნის მას ხელზე. უცებ გადახედავს გამომცდელი თვალით). მაგრამ დაიმახსოვრე: თუ მომატყუილეთ, მოგკლავ.

დინა (იმავე ინტონაციით). თუ თქვენ მომატყუილეთ, მაშინ მე მოგკლავთ თქვენ! (ღიმილით). შევთანხმდით?

ოხოტინი (პირქუშად). ნუ იცინი გოგონა, მე არ ვხუმრობ.

დინა. კმარა აჰაზე გრი. მომწყინდა (აწევს სასმისს). ჰოდა, ასე, ზღაპრის სადღეგრძელო იყოს!

ოხოტინი (მიუკაკუნებს ჭიქას, ჰკოცნის ხელზე). ხომ! (გადაჰკრავს კონიაკს, დააყოლებს ლიმონს) ოჰო! დროა უკვე! (უცებ წამოდგება.)

დინა. ისევ სადღაც მიდიხართ, გრი!

ოხოტინი. ტელეფონთან (მიდის მარცხნივ.)

დინა (ნებივრად). იწყება! რა მოწყენილობაა!

ოხოტინი. მე, აი ამ წუთას! (მიდის).

(პ ა უ ზ ა)

დინა (უცებ მოწყდება). ოჰ, ღმერთო ჩემო, რა წამებაა!

(პაუზა)

(შემოდის ლუბა სავსე ლანგრით ხელში.)

ლუბა (ირონიულად). დაიქანცეთ, ქალიშვილო?

დინა (სწრაფად შეკრთება). ის ტელეფონით ლაპარაკობს? ხო?

ლუბა (დგამს ლანგარს მაგიდაზე). დიახ, ტელეფონით და მასთან კიდევ ოფიცერია ვიღაც, დავობენ, იგინებიან. ეტყობა მათი საქმე უკვე ცუდად არის. აგერ ქვემეხების ხმაც მიწყდა...

დინა (ყურმოგდებით). გაჩუმდნენ, ჰო, (ხედავს, რომ ლუბა არ მიდის) თქვენ კიდევ გინდათ რაიმე მითხრათ?

ლუბა. რა უნდა გითხრათ, თქვენთვის არ არის საინტერესო.

დინა. შალანდის შესახებ მითხარით რაიმე, ჩქარა!

ლუბა (ხმას დაუწევს). ამბობენ სანაპიროზე კატერი მოადგაო.

დინა (შეხედავს საათს). უკვე?!

ლუბა. რა?

დინა. არა, არა, არაფერი. განაგრძე, განაგრძე!

ლუბა. კატერს მოტორი არ ჩაუქრია. (მოულოდნელად). ოჰ, დინა, გენაცვალე, არ გაუშვა ის იქ, არ გაუშვა, (შემოეხვევა) არ გაუშვა, დინა გენაცვალე! (ტირის).

დინა ჩუმათ... (ჩურჩულით). მომისმინეთ, ლუბა, თუ თქვენ გინდათ, რომ იგი შევაჩეროთ, როგორც კი გამოჩნდება იაშა, იმ-წამსვე მაცნობეთ.

ლუბა (ჩაიქნევს ხელს). იგი ისევ თავისას ამბობს!

დინა (ძალით). ეხლავე გესმით! გაიგონეთ! გააგდეთ ხელიდან დანა, ჩანგალი, თეფში — რაც გინდათ!

ლუბა. ოჰ, რაღაცას მეტდ მოელდებით, დინა.

დინა (მიაყურებს). ჩუ...! (მირბის მაგიდასთან და იღებს ძალიან ჩაფიქრებულ პოზას)

ლუბა. ოჰ, არ იშლით, არა! (მიდის. შემოდის ოხოტინი).

ოხოტინი. ჩემი ოცნება კიდევ ჯავრობს ჩემზე?

დინა (ცივად). ვის ელაპარაკეთ ტელეფონით, გრიგორი ივანეს ძევ?

ოხოტინი. განა ამას აქვს რაიმე სერიოზული მნიშვნელობა?

დინა. ვის? (ეჭვიანად) ქალს?

ოხოტინი. უკვე სისულელეს ამბობთ!

დინა. მაშინ, ვის?

ოხოტინი (ღიმილით). თქვენ ეჭვიანობთ? ეს კარგია.

დინა. კარგი? ნუ გიხარიათ, არ ვეჭვიანობ, მაგრამ თქვენთვის რომ მორიგი გასართობი ქალი ვიყო, ეს კი არ მოხდება! (დგება, თითქოს აღელვებული დადის წინ და უკან) მე ყველაფერს გწირავთ თქვენ, გრი, ოჯახს, სცენას—ყველაფერს! მე არ მსურს თქვენთვის მხოლოდ თოჯინა ვიყო! მე მინდა ვიყო ერთგული მეგობარი...მე წამიკითხავს წიგნებში ასეთ ქალებზე, შემშურებია მათი!

ოხოტინი (მოფერებით). ცხოვრება წიგნი არ არის, ჩემო გოგონა.

დინა (თითქოს ყურს უგდებს, ყალბი გულწრფელობით). თქვენ ჩემი რომანის გმირი ხართ, ძლიერი, ლამაზი...დე, ეშინოდეთ სხვებს, ჩემთან კი თქვენ ალერსიანი ხართ, და მე ვამაყობ ამით!

ოხოტინი (დაუჭერს ხელებს). თქვენ მოგწონთ ეს, დინა?

დინა (წაართმევს ხელებს). მე მაქვს უფლება ვიცოდე, ყველაფერი თქვენს შესახებ, ყველაფერი! ხოლო ეს ყველაფერი საიდუმლოებითაა მოცული.

ოხოტინი (გადაიხარხარებს). ეს ბუნებრივია, ჩემო გოგონა, გამგზავრების წინ საჭიროა ზოგიერთი რამის ლიკვიდაცია.

დინა (ჩახედავს თვალებში). შალანდისა? ჰო?

ოხოტინი (წამოდგება). რომელი შალანდისა?

დინა. ეს უკვე მეტისმეტად სასაცილოა, ეს მთელმა ქალაქმა იცის.



ოხოტინი (ირონიით ჩაიცინებს). თქვენ გეცოდებათ ისინი?

დინა (შეიშმუშნება). მე არ მიყვარს სისხლი, გრი.

ოხოტინი. სისულელეა! ომი ომია! და იგი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, დამთავრებული არ გეგონოთ! ამ ქალაქიდან ჩვენი გასვლა ჯერ კიდევ დამთავრებას არ ნიშნავს. სანამ მე აქედან წავალ, მანამდე გამოვიხურავ კარებს! (გრაზმორეული) ჩძაგს!.. (დადის იქეთ-აქეთ ბაღში თავისი დამახასიათებელი ნახტომისებური სიარულით) იმათ სურთ წარმართონ ყველაფერი...ისინი საფრთხეში აგდებენ ჩემს მომავალს... და როგორ მომავალს! (კიდევ უფრო აღგზნებული) მე მხოლოდ 28 წლისა ვარ და უკვე პოლკოვნიკი, 30 წლისა უკვე შემიძლია ვიყო გენერალი, ფელდმარშალიც...

დინა (ხუმრობით). შემდეგ კი ნაპოლეონიც.

ოხოტინი. ოჰ, არა, ეს ჩემი იდეალი არ არის.

დინა. ვინ არის თქვენი იდეალი.

ოხოტინი (ცეცხლოვანი თვალებით). რომის კეისარი, ნერონი!

დინა. ნერონი?

ოხოტინი. ლამაზად იცხოვრა ადამიანმა! (შეჩერდება) წარმოიდგინე გოგონა, ცეცხლს მისცე რომი, მხოლოდ იმისათვის, რომ დასტკბე სანაიაობით, ჯერ მსოფლიოში არ ნახული ლამპარით! დიდებულია! რამდენი სიძულვილია ამაში, ჰუჰყიანი, ზნედაცემული, შავი ბრბოს მიმართ! როგორი დაუნდობლობაა!...როდესაც იგი წამოეგო საკუთარ ხმალზე, სიკვდილის წინ სთქვა: „რა ბუმბერაზი არტისტი იღუპება“. ლამაზად იცოცხლა და ლამაზად მოკვდა!

დინა (ცდილობს დაფაროს თავისი ზიზღი მის მიმართ). ვშიშობ; გრი, რომ ჩვენს დროში ძნელია მიბაძო რომაელ კეისარს.

ოხოტინი. თქვენ ასე ფიქრობთ? (გადაიხარხარებს, თითქოს ბოდვაშია) მე იმათ ისეთ კოცონს ვუნთებ! ისეთ მოელვარე კოცონს...ის ზღვაში გასცურავს! ეს ღვთაებრივი იქნება! (უცებ წაავლებს ხელს სავარძლის ზურგს) რა არის ეს? რა მოხდა? ფეხზე ველარ ვდგევარ..

დინა. გასაგებია' დაღლილობა, უძილო ღამეები... მიწექით.

ოხოტინი (ჩაეშვება სავარძელში). არ შეიძლება ძილი. არ შეიძლება. უნდა გავემგზავროთ, წავიდეთ... წავიდეთ... (იძინებს).

(პაუზა)

დინა (ჩუმად) გრი, გძინავთ?.. (უფრო ხმამაღლა) თქვენ გძინავთ, გრი? .. (მიდის მაგიდასთან და უცებ ღონემიხდილი ჩაეშვება სკამზე, ხის უძრავად დაჭყეტილი თვალებით, შემდეგ იღებს ცხვირსახოცს, იწმენდავს სახეს. შეურაცხყოფილი) მოცურავე კატერი! აი, თურმე რა გამოიგონე,

„ნერონი“! (შემცივნებით შეირხევა მხრებით, შესვამს რამდენიმე ყლუპს შამპანურს. შემოდის ლუბა და გაუვარდება დანა. სწრაფად შემობრუნდება) ჩუმათ, ლუბა! (მიირბენს მასთან).

ლუბა. თქვენ ხომ თითონ მთხოვეთ...

დინა. ოხ, მართლა...იაშა აქ არის?!

ლუბა. აქ, თქვენი ჯანმრთელობა მოიკითხა.

დინა (სწრაფად). ლუბა! თუ თქვენ კეთილი გსურთ ხალხისათვის, რომელიც შალანდაზეა, ახლავე გადაეცით მათ, რომ მაქსიმ სერგეის ძე დაუყონებლივ შეუდგეს თავის როლის შესრულებას, გასაგებია? თავისი როლისა (მკაცრად) ჩქარა!

ლუბა. მივდივარ! მივდივარ! (გარბის).

დინა (უახლოვდება ოხოტინს, ჩახედავს სახეში, ყურს მიუგდებს მის სუნთქვას. მიდის აკაციასთან და ჩურჩულებს აღგზნებით) მაქსიმ... (ძლიერის გემის საყვირის ხმები). რა დიდხანს.. (ქუჩიდან მოისმის (ჩართული მოტორის ხმა. შემდეგ მანქანის დაძვრის ხმა). როგორც იქნა: (მიირბენს ბუჩქებთან და მიუგდებს ყურს. გარედან მოისმის სროლის ხმა). რა მოხდა? (პ ა უ ზ ა. შემორბის ლუბა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად) რა მოხდა იქ?... ლუბა!

ლუბა (შიშით). ის, რომ... მოქუსლა თქვენმა ლამაზმა, ჩაჯდა მანქანაში და გაქრა.

დინა (აფორიაქებული). თქვენ თვითონ დაინახეთ ეს?

ლუბა (უფრო ბრაზმორევით). მიახალა მძღოლს „კატერზე! ჩქარა!“ და კიდეც გაქრნენ.

დინა. ის რა, გასროლის ხმა იყო?

ლუბა. სწორედ მას ესროლეს.

დინა. მას?! (მოეკვეთება ფეხები და დაეშვება სკამზე)

ლუბა (ირონიით). გეცოდება?

დინა (სუსტად). დაჭრეს? მოკლეს?

ლუბა. ეს უკვე არ ვიცი. შეშინებული მძღოლი მოსწყდა ადგილიდან და მეფარა ქუჩის კუთხეს (ლვარძლიანად) ეხ, შენ არტისტო, ყველა იმედები გაგიცრუვდა.

დინა. ვინ გაისროლა, ლუბა?

ლუბა. მე საიდან ვიცი! (ზურგს შეაქცევს).



დინა (გაშმაგებით). სტყუით! იცით!

ლუბა (თავს მოარიდებს პასუხს). კარგად კი გაგაცურათ თქვენმა ლამაზმა, — თავი მოიმთვრალა და თვითონ...

დინა (ჩამოცილდება და მიუთითებს ოხოტინზე). და აი ისიც!

ლუბა (მიმოიხედავს). ის! ღმერთო! მაშინ ვინ წავიდა მაგის მანქანით?

დინა. ვინ გაისროლა, ლუბა?!

ლუბა (აღელვებული). ერთმა ახალგაზრდამ, მატროსმა, მაგრამ ააცდინა! მე თვითონ არ მესმის იქ საიდან გაჩნდა, მთელი საღამო ჩვენთან გაატარა სარდაფში და უცებ..

დინა. ჩვენთან, სარდაფში?

ლუბა. ის შალანდიდანაა, ჩემო დინა!

დინა. შალანდიდან?! სად არის?

ლუბა. არ ვიცი. აქ არის ალბათ სადმე...

დინა (წონასწორობიდან გამოსული). იპოვეთ ახლავე იგი! უთხარით მას, რომ ოხოტინი აქ არის, ხოლო ის კაცი, რომელსაც მან ესროლა, წავიდა კატერით, რათა გაანთავისუფლოს ამხანაგები შალანდაზე!

ლუბა. ეს... რომელ კაცზე ამბობ? მაქსიმ სერგის ძეზე?! ჰო?

დინა. უთხარით, რომ არ წავიდეს, რომ იგი შეიძლება დამჭირდეს ჩქარა!

ლუბა. აი ესეც თქვენი სპექტაკლი! დინა გენაცვალე! (ქვითინით ეხვევა მას) მაპატიეთ მე ბრიყვს! (გარბის. ვერანდის საფეხურზე ბორძიკით ჩამოდის მოხუცებული).

(მოხუცებული ყალბი ტენორით წაიმღერებს „თეთრ აკაციას“... დაეცემა საფეხურზე და მიიძინებს).

დინა (აკაციასთან) მაქსიმე... (სევდით) მაქსიმე... (უცებ შორიდან მოისმის მრავალხმიანი შეძახილი „ურა“. დინა მიუგდებს ყურს. „ურას“ შეძახილები იმაღლებს. უცებ შეწყდება მუსიკის ხმა, მოისმის პანიკური შეძახილები; „წითლები!“ „წითლები!“ ისტერიული ქალის ხმა, გადაბრუნებული მაგიდის ხმაური ჭურჭლის მსხვრევის ხმები. ოხოტინი გონს მოდის, ახელს თვალებს და უაზროდ იყურება სივრცეში.)

(შემორბის ლუბა.)

ლუბა. წითლები, დინა, გენაცვალე! წითლები! (გარბის. ოხოტინი წამოიწევს და ყურს მიუგდებს).

დინა (გახარებული). მესმის, ლუბა, გენაცვალე! მესმის! (კარბის და ეძახის) ამხანაგო მატროსო! ამხანაგო მატროსო! (ოხოტინი

წამოხტება და ხელს სტაცებს ხანჯალს. დინა... ჩაიკეცება. შემოტრიალდება და შეშინებული წაბარბაცდება ბაღისაკენ. ბუჩქებიდან ჩანს ეხლავე ნისი თავი მოულოდნელად ოხოტინა აკვეთებს მატროსს და ბუჩქებში მიიმალება. იქიდან მოისმის ხმა და მოკლე შეძახილი და სტვენის ცემა.)

(ოხოტინი გამოდის ბუჩქებიდან )

ოხოტინი (აწმენდს სისხლიან ხანჯალს). ნაადრევად იცინოდი გოგონა (ჰამართებდავს და ფრთხილად მალულად ნაბიჯით გადაიჩხვრება ბაღს. ყვითელი კეთილში მიეყრდნობა ზურგით და დაძაბული მისდევს ფეხს. შემოდის მატროსი. ოხოტინი ზურგით მიცოცავს მისკენ. მატროსი ელვისებური სისწრაფით წააქცევს მას და დააწვება ზემოდან.)

მატროსი. ველარ გამექცევი, არამზადავ!

ლუბა (შემორბის). ოჰ, ღმერთო ჩემო! (სვე გამოვარდება) აქეთ, ამხანაგებო, აქეთ! მიშველეთ!

მატროსი (ველში დაუმიზნებს ნაგანს ოხოტინს). ტყუილად ნუ ფართხალებ! ალარაფერი გამოვა!... (სტაცებს ხელს ოხოტინს კეფაში და წამოაყენებს ფეხზე. ოხოტინი უყურებს მას გაგგებარი, ბუნდოვანი თვალებით.)

— რას მიყურებ! მატროსი სლიუსარენკო ვარ, მიცანი? თუმც რაღას მიცნობ, ჩემი დამუშავების შემდეგ? ოხ, როგორ შევალამაზებდი, მაგრამ პარტიული ბილეთი არ მაძლევს უფლებას.

ოხოტინი (ბევად იყურება ბუჩქებისაკენ) რომელი მსახიობი დაიღუპა!

მატროსი. რაო?

ოხოტინი (აგრძელებს რა ბუჩქებისაკენ ყურებას ბურტყუნებს) „Белой акации гроздья душистые"

მატროსი. შეიშალა, შობელძაღლი!

მოხუცი (სავარძელზე მოულოდნელად გაღვიძებული) „Вновь разливается песнь соловьиная" ..

მატროსი (შემოტრიალდება). ეს კიდევ ვინ არის? ეი, შენ, რას კნავიხარ? დამთავრდა თქვენი სიმღერა! გაიკმინდე ხმა!

(მოხუცი წამოდგება და ბორძიკ-ბორძიკით გარბის. შემორბის ლუბა.)

ლუბა დინა, გენაცვალე!...სადა ხარ? დინა! (ძირბის სცენის სიღრმეში, შემდეგ ბუჩქებისაკენ).

მატროსი (ელის კვრით მიჰყავს ოხოტინი კარებისაკენ). გადადგი ნაბიჯი! მე კონტრავ. (ვაჰ ეს, კულისებს იქით). ეჰეი ბიჭებო! ეს ტიპი, ცოცხლად უნდა ჩაიბაროთ! ეს თვით კონტრდაზვერვის უფროსია!



ლუბა (ბუჩქებში). ღმერთო ჩემო! (ყვირის სასოწარკვეთილი) მატროსო! მატროსო!

მატროსი (სცენის იქით). მოვდივარ!... (შემოვარდება) სადა ხარ, დაიკო?

ლუბა (ბუჩქებიდან). მოკლა იმ დაწყევლილმა!

მატროსი (შევარდება ბუჩქებში). მსახიობი ქალი?! (ბუჩქებიდან მოისმის მეზღვაურის ხმა: „ნუ გეშინიათ, დაიკო!.." მას და ლუბას გამოჰყავთ გონებამიხდილი დინა და ჩააწვენენ შეზლონგში).

ლუბა. კვდება არაფ.....

მატროსი. მომეცი კონიაკი, ხელსაწმენდი!

ლუბა. ახლავე! (მირბენს მაგიდასთან და მიაწოდებს მას ორ საწმენდს და ერთ სასმისს შამპანურს. მატროსი წამოაწევს თავს დინას, ჩაასხამს პირში შამპანურს და შეუკრავს ჭრილობას ზურგზე, ქუჩიდან მოისმის მოახლოვებული მანქანის ხმა).

ლუბა. ცოცხალია?

მატროსი. სუნთქავს.

დინა (ოდნავ გასაგონად). წყალი... მაქსიმ..

მატროსი (ლუბას, შეშფოთებული). მსახიობი?

ლუბა. სწორედ ისაა, ის... ღმერთო ჩემო! (მარცხნიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის ვასენინი, ისეთივე გალიფე და ჩექმები აცვია, როგორიც ოხოტინს, მეზღვაური და ლუბა აჰოლვარებიან დინას.

ვასენინი (იწმენდავს სახიდან გრიმის ნარჩენებს). სინდისს ვფიცავ, კარგად ვითამაშე, დინა, გენაცვალე! პაროლიც კი არ უკითხავთ, მძღოლმა კი (მიმოიხედავს). დინა, სადა ხარ?

მატროსი. აბა, აბა! რაო მესაჰემ?

ვასენინი (ღრმად შეიხედავს). კატერზე კომისრების გადაყვანაში მიშველა (ლუბას შეშფოთებული). სადაა დინა?

ლუბა. ოხ, მაქსიმ სერგის ძევ!... (ტირის)

ვასენინი (მივარდება საწოლს). დინა!... (შეამჩნევს რა მკერდზე გადახვეულს) რა დაგემართა?! დინა!

დინა (გაახელს თვალებს, სუსტად). მაქსიმ... ცოცხა...

ვასენინი. რა დაემართა ლუბა?

ლუბა. ხანჯლით იმან... ზურგში...

ვასენინი. ჩემო დინა!

დინა (მისუსტებულად). დაუკარი... მაქსიმე!

ვასენინი (დაბნეული). რა, გენაცვალე?! რა სთქვი?

მატროსი. დაუკარი, ძმაო, შეუსრულე თხოვნა.

ლუბა (ქვითინით). ახლავე მოვიტან გიტარას ახლავე... (მირ-ბის ოთახში).

ვასენინი. გამოიხედე!... დინა!

დინა. უჰ... დილაა?

მატროსი. დილაა, დაიკო... გათენებულა.

(შემოდის ლუბა გიტარით და აძლევს ვასენინს.)

ვასენინი (ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელი ცრემლებით). რა დავუკრა, ქეთრულასო?

დინა. „ალალია"... მახსოვს... (მიუჯდება)

ვასენინი. ჰო, ჰო... დაუგდე ყური...

მატროსი (გულისტკივილით). ეჰ, შენ ჩემო დაიკო... (ვასენინი უკრავს „ლუთი ალალია" ღიღინით. კიბეზე ავადმყოფებივით სცენის იქიდან ბრძოლის წითელი ცეცხლები ჩანს. ისმის ახალი სიტყვები, დაბნეული რევოლუციონერის ბრძოლები).

ფარდა